კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, გუთნის ქუჩა #21-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.17.01.125.026) განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #2

ქ. თბილისი **19.05.2015წ.**

სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომას თავმჯდომარეობდა:
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – თემურ თორდინავა
სხდომას ესწრებოდნენ:
საკონკურსო კომისიის წევრები: დავით სიხარულიძე, ნინო ბურძენიძე
საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები: დავით ძოწენიძე, ნინო კონჯარია
მოწვეული კონსულტანტები: ნინო გვენცაძე, ლევან ძაგნიძე
დღის წესრიგი

კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, გუთნის ქუჩა #21-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.17.01.125.026) განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვის საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო პირობებში ცვლილებების დამტკიცება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის, დავით სიხარულიძის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარმოუდგინა: ა) საკადასტრო კოდის დაზუსტების საკითხი და ბ) ჯგუფების და ბავშვთა რაოდენობის დაზუსტების საკითხი.

ქ.თბილისში, გუთნის ქუჩა #21 მდებარე მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი არის 01.17.01.125.026.

საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებული ჯგუფების რაოდენობა დაკორექტირდეს და განისაზღვროს:

ბაგა-ბაღში ბავშვებისათვის განკუთვნილი ჯგუფები (ბაგა 2-3 წლიანი, რაოდენობა - 1).
ბაგა-ბაღში ბავშვებისათვის განკუთვნილი ჯგუფები (ბაღი 3-6 წლიანი, რაოდენობა - 4).
ბაგა–ბაღის სართულიანობა განისაზღვროს 2 სართულით, (ბავშვების რაოდენობა 165-მდე).

საკონკურსო კომისიის წევრები და თავმჯდომარე ერთხმად დაეთანხმა წარმოდგენილ ცვლილებებს.

კომისიამ დაადგინა:

1) დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები და გათვალისწინებული იქნას შესაბამისი კორექტირება საკონკურსო დოკუმენტაციაში;
2) აღნიშნული ოქმი გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurement.gov.ge–ის მეშვეობით.

თავმჯდომარე: თ. თორდინავა /თემურ თორდინავა/

კომისიის წევრი: /დავით სიხარულიძე/

კომისიის წევრი: /ნინო ბურძენიძე/

აპარატის წევრი: /დავით ძოწენიძე/

აპარატის წევრი: /ნინო კონჯარია/

მოწვეული კონსულტანტი: /ნინო გვენცაძე/

მოწვეული კონსულტანტი: /ლევან ძაგნიძე/